SOS ბავშვთა სოფელი

მადლობა, რომ გახდით კარგი ამბების **შემოქმედი!**




საქველმოქმედო კამპანიის დაწყებიდან დღემდე, უკვე **800-ზე მეტი დონორი** შემოგვიერთდა.

ჩვენთვის ყოველი ახალი დღე ახალი თავგადასავალია, სავსე კეთილი საქმეებით და მნიშვნელოვანი მიღწევებით.



გვსურს, მოკლედ გიამბოთ იმ კარგი ამბების შესახებ, რაც ბოლო 3 თვის განმავლობაში დაგვიგროვდა:

- **209 ბავშვმა და მზრუნველმა** ისარგებლა ფსიქოლოგის მომსახურებით.
- **33 ბავშვი** ჩაერთო საგანმანათლებლო კლასებში.
- **20-მა ბენეფიციარმა** წარმატებით დაასრულა პროფესიული სწავლების პროგრამა.
- **181-მა ბენეფიციარმა** ისარგებლა სამედიცინო მომსახურებით ჩვენი თანა/სრული დაფინანსებით.
- **26 ბენეფიციარისთვის** შევიძინეთ დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის საჭირო ინვენტარი:
  1. საკონდიტრო საქმიანობისთვის საჭირო ნივთები;
  2. ხის დეტალების დამამზადებელი დანადგარი;
- **22 ახალგაზრდას** გადავეცით პერსონალური კომპიუტერი;



ჩვენ გვჯერა, რომ უკეთესი მშობლობისთვის შვილებთან ერთად ხარისხიანად გატარებული დრო უმნიშვნელოვანესია.


ამიტომ, **ბავშვებთან და მშობლებთან ერთად** შევქმენით **დაუვიწყარი მოგონებები**

ზოგიერთი დღე ჩვეულებრივად იწყება, მაგრამ მთელ ცხოვრებას ცვლის.

სწორედ ასეთი დღე ვაჩუქეთ წალენჯიხაში, **სოფელ ჯვარსა და ფოცხოეწერში** მცხოვრებ ოჯახებს. ჩვენი ახალი პროექტის ფარგლებში, გადავწყვიტეთ, ყოველდღიურობა დაგვევიწყებინა და მშობლებისა და შვილებისთვის ნამდვილი დღესასწაული მოგვეწყო.

ბათუმის დელფინარიუმი და დენდროლოგიური პარკი ის ადგილი აღმოჩნდა, სადაც ბევრმა პატარამ **პირველად იგრძნო მოგზაურობის სიხარული**. თუმცა, ყველაზე ამაღელვებელი მშობლების ემოცია იყო - უმრავლესობამ ბათუმი პირველად სწორედ შვილებთან ერთად ნახა.

ეს ის დღეა, რომელიც კალენდარზე მხოლოდ ერთ რიცხვს იკავებს, თუმცა მეხსიერებაში - მთელ ადგილს.



უმუშევრობიდან საკუთარ საქმემდე - თეას ისტორია

თეას ისტორია სიმტკიცისა და მიზანდასახულობის ნათელი მაგალითია. იგი ოჯახის გაძლიერების პროექტს რთული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დროს შემოუერთდა, თუმცა საკუთარი ძალების რწმენა და ცვლილებების სურვილი არასდროს დაუკარგავს.

პროექტის ფარგლებში თეამ თექაზე მუშაობა და ქსოვა შეისწავლა. კურსის დასრულების შემდეგ ჩვენი დახმარებით საჭირო მასალებიც შეიძინა და ასე წამოიწყო მცირე, მაგრამ შემოსავლიანი საქმე.

დიდმა მონდომებამ და სიყვარულით შექმნილმა ნივთებმა მომხმარებლის გული მალევე მოიგო. დღეს, თეა **დამოუკიდებლად ახერხებს ოჯახზე ზრუნვას**. უფრო მეტიც, ახლა სხვებს აძლიერებს — იგი დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარებს უსასყიდლოდ უზიარებს ცოდნას და საკუთარი მაგალითით არწმუნებს, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

თქვენი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ



ქველმოქმედების ძალა ერთობაშია!

დაგვიკავშირდით
+995 598152127

მოგვწერეთ
SOSFRIENDS@SOS-KD.GE

გვესტუმრეთ
ალ. ყაზბეგის გამზირი 53;

@ 2025 SOS ბავშვთა სოფელი საქართველო.
ყველა უფლება დაცულია.